

სსიპ – ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №310/01-01 საფუძველზე - ფიზიკის დეპარტამენტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოფიზიკის კათედრა (ინტერდისციპლინური)-გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის №3/2019 დადგენილების პუნქტი1.-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

## შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„21“ თებერვალი, 2019 წ.

14:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი: 1. პროფ. ალექსანდრე შენგელაია (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. ნანა კოშორიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. მანანა გორდეზიანი (კომისიის მდივანი), 4. ასოც. პროფ. თამარ ჭელიძე, 5. პროფ. თამარ სანიკიძე.

### დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური), პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

### მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ ალექსანდრე შეგელაიას ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპისა და საცდელი ლექციის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ.

### კონკურსანტი თამაზ მძინარაშვილი

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ თამაზ მძინარაშვილის განათლება (თსუ - სრული კურსი სპეციალობით ფიზიკა, სპეციალიზაცია ბიოფიზიკა, მინიჭებული კვალიფიკაცია - ფიზიკოსი), აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა- მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გრიფით 03.00.02 ბიოფიზიკა, ფიზიკა-მათემატიკის 01.04.07 მეცნიერებათა დოქტორი), სამსახურებრივი გამოცდილება (1990-2006წწ თსუ, ფიზიკის ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. 2006-2013წწ თსუ, ზსმფ-ის ფიზიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, სრული პროფესორი, პროფესორი, ბიოფიზიკის კათედრის გამგე) და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1990 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა ასისტენტის, დოცენტის, კათედრის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, სრულ პროფესორის, პროფესორის თანამდებობები) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა - (1. აბსორბციული სპექტროფოტომეტრია ბიოფიზიკაში (ელ-წიგნი)- [http://press.tsu.ge/data/file\\_db/nashromebi/Mzinarashvili%20logoiani%20SWoreba.pdf](http://press.tsu.ge/data/file_db/nashromebi/Mzinarashvili%20logoiani%20SWoreba.pdf);

2. წიგნი: *Advanced Biologically Active Polyfunctional Compounds and Composites: Health, Cultural Heritage and Environmental Protection*, Copyright© 2010 by Nova Science Publishers Inc. New York.

**PART 2. PHYSICS, THERMODYNAMICS AND KINETICS OF HOMOGENEOUS AND HETEROGENEOUS NANOSYSTEMS.** **T.Mdzinarashvili**, M.Khvedelidze, T.Parts Khaladze, M.Schneider, U.F.Schaefer, N.Nafee,

C.-M. Lehr "Stability of Drug Delivery PLGA Nanoparticles: Calorimetric Approach". [http://www.novapublishers.org/catalog/product\\_info.php?products\\_id=10787](http://www.novapublishers.org/catalog/product_info.php?products_id=10787)),

მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (11) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ფიზიკის, ბიოლოგიის დეპარტამენტების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

**III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა** - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 12 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 4 საგრანტო პროექტის მუშაობაში. თ მძინარაშვილი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (საარბრუკენის უნივერსიტეტი, ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტი). სამეცნიერო კვლევების კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. იქიდან გამომდინარე, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის პუბლიკაციების რაოდენობა (12) და მისი ციტირების ინდექსი (150), არ არის მაღალი, მისი საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ იგი არის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, საბაკალავრო და სამაგისტრო დიპლომების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი და ოპონენტი. არის ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, კითხულობს ლექციებს ინგლისურ ენაზე უცხოელი სტუდენტებისთვის. კონკურსანტი რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კომისიის წევრია. თამაზ მძინარაშვილის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

## კონკურსანტი დიმიტრი ხოშტარია

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი დიმიტრი ხოშტარიას **განათლება** (თსუ - სპეციალობა ფიზიკა, სპეციალიზაცია ბიოფიზიკა, მინიჭებული კვალიფიკაცია - ფიზიკოსი), **სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი - 1978-1995წწ საქართველოს მეც. აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უმც., უფრ., წამყვანი მეც. თანამშრომელი; 1995-2010წწ. სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეც. თანამშრომელი, მოლეკულური ბიოფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პარალელურად - დოქტორანტების ხელმძღვანელობა. თსუ ზსმ ფაკ-ის ბიოფიზიკის ლაბორატორიის გამგე, ბიოფიზიკის და ბიო-ნანომეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი თსუ მიწვეული ლექტორი.), **შეთავსებით მუშაობა** (სსიპ ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ბიოფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი - არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს (ბიოფიზიკა): თუმცა, გრიფი - **02.00.04 ფიზიკური ქიმია**- კომისიის აზრით შეიძლება ვაკანსიის მომიჯნავე დარგად იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, ვაკანსიის პროფილთან აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის შეუსაბამობა საბოლოო ჯამში I კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის საერთო კვალიფიკაციის დამაკმაყოფილებლად შეფასებას ხელს არ უშლის. შესაბამისად, I კატეგორიის მიხედვით დიმიტრი ხოშტარიას კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსი** - „ბიოფიზიკური კინეტიკა“ ( ECTS 5) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** - ვინაიდან კონკურსანტის მიერ ანკეტაში მითითებული 2 სასწავლო კურსიდან არცერთს არ ახლავს ელ.მისამართი, <http://e-learning.tsu.ge/course> - საიტზე არ იძებნება და თავად კონკურსანტის განმარტებით განახლებისა და შევსების პროცესშია - კომისიამ აღნიშნული კურსები **სასწავლო-მეთოდურ საქმიანობად არ ჩათვალა. დ. ხოშტარიას მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** - ანკეტაში მითითებული აქტივობა კომისიის გადაწყვეტილებით **პუნქტი 2.3** -ით გათვალისწინებულ აქტივობად არ ჩაითვალა. შესაბამისად კონკურსანტის შეფასება **II კატეგორიის მიხედვით არის - „საშუალო“.**

**III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა** - კონკურსანტს 32 პუბლიკაცია აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, აქვს მაღალი ციტირებისა და *h* - ინდექსები 1201/21, ბოლო 6 წლის განმავლობაში მოხსენებებით წარსდგა 4 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 5 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტში. კონკურსანტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ქ. ერლანგენის, ქ. პიტსბურგის, ქ. მილანის, ქ. ლაიპციგის, ქ. სტოქჰოლმის სამეფო ტექნიკური და ქ. პარიზის პიერ და მარი კიურების უნივერსიტეტები). საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი, სამეცნიერო კვლევების კონცეფციის ფორმა და შინაარსი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. კონკურსანტის აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე **III კატეგორიის ორივე ნაწილში** მას მიენიჭა შეფასება „**მაღალი**“.

#### **IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**

საერთაშორისო სტიპენდიები ბოლო წლებში - 11.12011-08.2012 - ფულბრაიტის სტიპენდია გამოცდილ მკვლევართათვის და მიწვეული პროფესორის სტატუსი (სულ 9 თვე); 2009 – 2015 წწ. - ა. ფონ ჰუმბოლდტის სტიპენდიის მრავალჯერადი განახლება (3 – 3 თვით; სულ 21 თვე) და მიწვეული პროფესორის სტატუსი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა – 6,  
სადისერტაციო სამუშაოების ოფიციალური ხელმძღვანელობა/ ოპონენტობა - 7/ 7  
მონაწილეობა სამეცნიერო/სადისერტაციო საბჭოებში – 6  
ენების ცოდნა: ინგლისური, რუსული, გერმანული, ქართული.  
კომპიუტერთან მუშაობის უნარები:

- Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)
- Google Chrome, Google Scholar, Scopus, ISI Thomson, Internet Explorer, etc.
- Adobe Acrobat Professional, Origin, CorelDraw, GRAMS, GPES, etc.

კონკურსანტის სხვა სახის აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და IV კატეგორიის ორივე პუნქტის მიხედვით იმსახურებს შეფასებას „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველ ეტაპზე რომელიმე კანდიდატის აშკარა უპირატესობა არ გამოკვეთილა. შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა, კონკურსანტებმა უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტების სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის მათეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტების პიროვნული თვისებები.

კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრების ეტაპის შემდეგ ჩატარდა საცდელი ლექცია. ლექციის თემა, ფორმატი და ხანგრძლივობა წინასწარ იყო განსაზღვრული. ლექციის დასრულების შემდეგ ორივე მომხსენებელმა უპასუხა სალექციო თემის ირგვლივ წამოჭრილ კითხვებს. აღნიშნული საკონკურსო ეტაპის შედეგების განხილვისას კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ორივე კონკურსანტის ლექციას ჰქონდა ხარვეზები, თუმცა კომისიის წევრების უმრავლესობის აზრით კონკურსანტ თამაზ მძინარაშვილის ლექცია და კითხვებზე პასუხები იყო პედაგოგიურად უფრო გამართული, სტრუქტურირებული, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გასაგები, იგრძნობოდა ლექტორის გამოცდილება.

შეფასების პირველი, მეორე ეტაპებისა და საცდელი ლექციის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

**თამაზ მძინარაშვილი - 4 მომხრე, ერთი წინააღმდეგი.  
დიმიტრი ხოშტარია - ერთი მომხრე, 4 წინააღმდეგი**

**დაადგინეს:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური) - პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმები #1 და #3) და II (ოქმი #4) ეტაპებისა და საცდელი ლექციის (ოქმი #5) შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

**ფიზიკის დეპარტამენტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი  
კათედრა - ბიოფიზიკა (ინტერდისციპლინური)**

**თამაზ მძინარაშვილი - პროფესორი**

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

*კომისიის წევრების ხელმოწერა*


*თარიღი 21.02.2019*

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.



/ა. შენგელია/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.



/ნ. კომორიძე/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.



/მ. გორდუზიანი/

კომისიის წევრი, პროფ.



/თ. სანიკიძე/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.



/თ. ქელიძე/